

ოჯახში ძალადობის პრობლემა ხანდაზმულ პირთა მიმართ

ეკატერინე ილურიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში სისხლის  
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინა მესხი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ეკატერინე ილურიძე

5 ივლისი 2021

## აბსტრაქტი

საქართველო ტრადიციული ქვეყანაა, სადაც განსაკუთრებულ პატივს სცემენ ოჯახის ინსტიტუტს. ოდითგანვე, საზოგადოების ცნობიერებაში გამჯდარი იყო, რომ ოჯახი არის პირადი სივრცე, რომელშიც არავის აქვს უფლება ჩაერიოს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადგილი აქვს ძალადობას. სწორედ ამიტომ, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას განსაკუთრებულ სირთულეებს ვხვდებით. წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება ოჯახში ძალადობის პრობლემა, ყველაზე დაუცველი ჯგუფის, ხანდაზმულების მიმართ.

ოჯახში ხანდაზმულების მიმართ ძალადობა დღესდღეობით აქტუალური საკითხია. განსაკუთრებულ სირთულეებს ვაწყდებით დანაშაულის გამოვლენის საკითხში. მოუწესრიგებელია კანონმდებლობა, არსებული დაცვის მექანიზმები არ პასუხობენ გამოწვევას. სწორედ ამიტომ, სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება ხანდაზმულების რეალური სამართლებრივი მდგომარეობა და დაცვის გარანტიების ეფექტურობის ხარისხი. ასევე განვიხილავთ, თუ რამდენად უქმნის სახელმწიფო ხანდაზმულებს უსაფრთხო გარემოს და არის თუ არა პრაქტიკულად განხორციელებული მცდელობა ნდობის მოპოვებისათვის საკმარისი.

საფუძვლიანი და სიღრმისეული კვლევისათვის გამოყენებული იქნება: აღწერით/მიმოხილვითი კვლევის მეთოდი; შედარებითი კვლევის მეთოდი; შეფასების მეთოდი; ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი.

გარდა ამისა, კვლევის პროცესში სიღრმისეულად იქნება გამოკვლეული საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის საკითხის გარშემო. ასევე დანერგილი პროგრამები, რომლებიც ხანდაზმულების დაცვისა და კეთილდღეობისთვისაა შექმნილი.

კვლევის შედეგად ნათლად გამოჩნდა, რომ საქართველოში ხანდაზმულების უფლებრივი მდგომარეობა არ არის გარანტირებული. კანონმდებლობაში არსებობს ხარვეზი, შესაძუმავებელია ახალი მიდგომები, პროგრამები და მექანიზმები, რათა

აღკვეთით ხანდაზმულების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ოჯახის წევრების მხრიდან.

საკვლევ საკითხთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები პირველ რიგში წაადგება სახელმწიფოს, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებით და გააუმჯობესებს ხანდაზმულების უფლებრივ მდგომარეობას. გარდა ამისა, ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ თეორიული მასალა პრაქტიკულად ძალიან მცირეა, აქედან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა დაეხმარება სხვა სტუდენტებსაც არსებული პრობლემის გაანალიზებასა და დანახვაში.

ამრიგად, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ხანდაზმული პირები დაუცველნი არიან ოჯახში ძალადობისაგან. ამ პრობლემის წინაშე პასუხისმგებლობა აკისრია არამარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებასაც. საქართველო დაბერებადი სახელმწიფოა, პროცენტულად მოსახლეობის დიდ ნაწილს ხანდაზმულები შეადგენენ და ეს ციფრები წლიდან წლამდე გაიზრდება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ხანდაზმულების უფლებრივ მდგომარეობას და დავიცვათ ისინი ოჯახში ძალადობისაგან, რისი მსხვერპლიც ხშირად ხდებიან.

სამიუბო სიტყვები: ხანდაზმული, ოჯახში ძალადობა, ხანდაზმული ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, ძალადობის მსხვერპლი, ხანდაზმულზე ძალადობის ფორმები, ძალადობისგან დაცვის მექანიზმები.

## **Abstract**

Georgia is a traditional country, where family as an institution is very honorable. From of old, it had been deep-rooted in the awareness of society, that family is a private space, where no one has right to interfere, even though if violence takes place. That is why we meet special obstacles while fighting against domestic violence in Georgia. The given paper will discuss the problem of domestic violence against the most unprotected group, elderly people.

Nowadays, domestic violence against elderly people is an actual topic. We meet the biggest difficulties in the problem of revealing the offence. The legislation is inordinate and existing defensive mechanisms cannot respond the challenges. That's why the issue under discussion in the given work for the master's degree will be the real judicial condition of elderly and the quality of effectiveness of the defensive guarantees. We will also discuss how the state makes the safe environment for elderly and whether the practical attempts are enough for gaining trust or not.

For the well-grounded and deep research the following methods will be used: descriptive/reviewing research method; comparatively research method; evaluative method; historical-judicial research method.

Besides these, in the process of research, Georgian legislation concerning domestic violence will be studied deeply. In the same way, the issue under discussion will be planted programmes that are created for the welfare and protection of the elderly.

As a result of research, it is clear that the legal condition of elderly is not guaranteed in Georgia. There is a lacuna in legislation, new approaches, programmes and mechanisms need to be created in order to suppress the violence towards elderly from their family members.

Given recommendations concerning the issue under discussion, will first of all help the state for fighting against domestic violence and will improve the legal conditions of elderly. Besides, there is just a few theoretical materials about domestic violence against elderly, therefore, the given research will also help other students to see and analyze the existing problem.

Therefore, concerning the issue under research, we may conclude: elderly people are not protected from the domestic violence. The responsibility about this problem lies not only on the state, but also on the society. Georgia is a senescent country, quite big part of the society is the group of elderly people and this number increases from year to year. That is why, it is essential to pay our attention to the legal condition of the elderly and protect them from the domestic violence, for they are quite often the victims of it.

Key words: elderly, domestic violence, violence against elderly family member, victim of the violence, forms of violence against elderly, defensive mechanisms from the violence.